<u>**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**</u>

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

"ეკონომიკა"
"Economics"

ფართო სფერო: 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია Social Sciences, Journalism and Information

ვიწრო სფერო: 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები Social and Behavioural Sciences

დეტალური სფერო: 0311 ეკონომიკა Economics (0311.1.1 ეკონომიკა Economics)

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:
ნანა რინკიაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე-ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
   ოქმი №4. 23.03. 2016
   ცვლილებები განხორციელებულია (ოქმი №3 18.01. 2018წ; ოქმი №14 16. 12 2021წ);

   ფაკულტეტის დეკანი /ნ. რინკიაშვილი/
2. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ
   ოქმი №1. 24.02.2016
   ცვლილებები განხორციელებულია (ოქმი №11 23.03.2018წ ოქმი №12 22.12.2021წ.)
   უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
   სამსახურის ხელმძღვანელი: / შ. ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
   ოქმი № 8, 25.02.2016.
   ცვლილებები განხორციელებულია(ოქმი №15 23.03.2018წ. ოქმი №22 24.12.2021წ.
   უნივერსიტეტის რექტორი /ი.შიოშვილი/

თელავი
2016

- **ფაკულტეტი:** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის
- **დეპარტამენტი:** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის
- **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** *ეკონომიკა Economics*

- **პროგრამის ანალოგი:**
  http://www.bu.edu/ ბოსტონის უნივერსიტეტი;
  graduate.lerner.udel.edu დელავერის უნივერსიტეტი;
  http://economics.ucsc.edu/ სანტა კრუზი, კალიფორნიის უნივერსიტეტი;
  http://www.bentley.edu/ ბენტლის უნივერსიტეტი;
  http://business.fullerton.edu/ კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფულერტონი;
  https://paulcollege.unh.edu ნიუ ჰემფშირის უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

ნანა რინკიაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონები: 0(350) 2336 71; 557 77 85 85. ელ.ფოსტა nana.rinkiashvili@tesau.edu.ge

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე , ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი 599274443 ელ.ფოსტა lali.chagelishvili@tesau.edu.ge

- **აკადემიური განათლების საფეხური:** *მაგისტრატურა (II საფეხური)*
- **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** *აკადემიური*
- **სწავლების ენა:** ქართული.
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკონომიკის მაგისტრი

Master of economics

- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** *120*
- **სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია არანაკლებ ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული ეკონომიკის პრინციპების გამოცდის (მინიმალური ზღვარი -51 ქულა)და ინგლისური ენა B2 დონეზე გამოცდის (მინიმალური ზღვარი -51 ქულა) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. TOEFL IBT 72-94 (72 - ქვედა ზღვარი); TOEFL ITP – 543; IELTS 5.0 – 6.0 (5.0 - ქვედა ზღვარი) (აღნიშნული სერთიფიკატის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტი გამოცდას აღარ აბარებს) *(საგამოცდო პროგრამა იხილეთ დანართი 7).*

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, იქნებიან კონკურენტუნარიანნი დასაქმების ბაზარზე, ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარები და შეძლებენ:

1. კვლევის მეთოდების გამოყენებით განახორციელონ ეკონომიკურ პროცესების კრიტიკულ ანალიზი
2. განსაზღვრონ გლობალურ გარემოში მიმდინარე პროცესების ზეგავლენა ეკონომიკურ სუბიექტებზე და ჩამოაყალიბონ დასაბუთებული დასკვნა;
3. პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით განახორციელონ კვლევა, დასახონ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ახალი, ორიგინალური გზები და ჩამოაყალიბონ არგუმნეტირებული დასკვნა

სწავლის შედეგი: საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

ცოდნა და გაცნობიებება

1. ახდენს მიკრო, მაკრო და მსოფლიო ეკონომიკების დონეზე არსებული პრობლემების სტრუქტურირებას, მათ სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას
2. აღწერს საჯარო ფინანსების ფუნქციებს, განიხილავს სახელმწიფო მონეტარულ და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს,
3. ახდენს გლობალიზაციის თეორიების და ეკონომიკურ ციკლების სიღრმისეულ ინტერპრეტირებას მათთან დაკავშირებული პრობლემების სტრუქტურირებას;

უნარი

4. ახდენს საკვლევი მოვლენების დასაბუთებას, მიზეზ-შედეგობრივ ანალიზს. განსაზღვრავს ცვლილებების პირობებში ბაზრის სუბიექტების ქცევას, გაიანგარიშებს და აფასებს მის პარამეტრებს,აკეთებს შესაბამის დასკვნებს.
5. ახდენს მიკრო-მაკრო ეკონომიკური მოვლენებისა და ტენდენციების სიღრმისეულ ანალიზს, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის საშუალებით განზოგადებული დასკვნების დემონსტრირებას.
6. ახორციელებს გლობალურ და ლოკალურ დონეზე ეკონომიკურ პროგნოზირებას , მათ შეფასებას და შედეგების დემოსტრირებას აკადემიურ და პროფესიულ წრეებში;
7. ახდენ საჯარო ფინანსების რესურსების გამოყენებასა და შემოსავლების განაწილების შეფასებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

8. პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, აყალიბებს ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ საკუთარ ხედვას და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს
9. იღებს პასუხისმგებლობას, ეკონომიკის სფეროში, საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიულ განვითარებაზე.

სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები: სტუდენტების სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები. სტუდენტები თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნის ეუფლებიან ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, დამოუკიდებელი სამუშაოების განხორციელებით. სტუდენტებთან ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციებითა, on line სწავლებით და სხვა.

თეორიული კურსი (ლექცია) ორიენტირებულია ძირითადად შესასწავლი მასალის ძირითად ცნებებზე და დებულებებზე. შესასწავლი მეთოდები დაკავშირებულია შესაბამისი სპეციალიზაციების კონკრეტულ თემატიკებთან. აქტიურად ხდება სადემონსტრაციო საშუალებების გამოყენება და სტუდენტების ჩართვა დისკუსიებში. სწავლებისას ფართოდ გამოიყენება ინტერაქტიული მეთოდი.

პრაქტიკულ მეცადინეობაზე ყურადღების კონცენტრირება ხდება ტიპური ამოცანების და ქეისების შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა პრაქტიკაში გადატანის უნარ-ჩვევების განმტკიცებას.

სემინარის დანიშნულებაა სტუდენტს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი და მის მიერ მომზადებულითემების გაღრმავების საშუალება.

დამოუკიდებელ სამუშაოების შესრულებით სტუდენტი ამოწმებს მასალის ათვისების ხარისხს.

კონსულტაციები კონსულტაციების მიზანია სწვლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრა, მაგალითად ობიექტური მიზეზების გამო სილაბუსის გრაფიკიდან ჩამორჩენა, მიცემული თეორიული მასალის არასათანადოდ გაცნობიერება, შეუსრულებელი დავალებების აღდგენა და სხვა; კონსულტაციები შეიძლება განხორციელდეს დისტანციურადაც და on line რეჟიმშიც

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი:

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატს ან/და პრეზენტაციას, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას.
- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის

დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. სტუდენტი ამ პრობლემის ადექვატურად გადასაწყვეტად მუშაობს წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნლოგიების მეშვეობით მოიძიებს უახლეს სამეცნიერო მიღწევებს შესაბამის სფეროში, სტატიებს, კონფერენციის მასალებს და ყველა იმ მასალას, რომელიც დასმულ პრობლემას უკავშირდება. მოპოვებული მასალებისა და მონაცემების, აგრეთვე საკუთარი მოსაზრებების შეჯერება ხშირად ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნის საფუძველს ქმნის.
- **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას.
- **დემონსტრირების (თვალსაჩინოების) მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ (პრეზენტაცია). ეს მეთოდი გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

• დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.

- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანადასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

- **დასაქმების სფერო:** ეკონომიკის მაგისტრ შეუძლია დასაქმებას ეკონომიკის როგორც სახელმწიფო ისე კერძო სტრუქტურებში, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში. სწავლის გაგრძელების მსურველებს შეუძლიათ სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** შეუზღუდავი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, პროფესორ-მასწავლებელთა სალექციო კურსები, მათი პირადი ბიბლიოთეკა და რიდერები, თანამედროვე ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურით განახლებული, ტექნიკურად აღჭურვილი ბიბლიოთეკა ჩართული საერთაშორისო ქსელში :
- New England Journal of Medicine(http://www.nejm.org/)
- BioOne(http://www.bioone.org
- IMF e-library(www.elibrary.imf.org)
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books(www.elgaronline.com)
- Cambridge University Journals – http://journals.cambridge.org
- Cambridge University Journals(http://journals.cambridge.org)
- SAGE Journalshttp://online.sagepub.com/

ინტეგრირებულ ელექტრონულ კატალოგში (EVERGREEN) ჩართვა 2010 წლიდან.
Elsevier – მონაცემთა ბაზები (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი):ScienceDirect®onlineScopus®online

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტთა ცოდნის შეფასება და კრედიტის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისმარეგულირებელიწესის შესახებ დებულების (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი #5 14..03.2018წ.) შესაბამისად. დეტალურად იხ. სასწავლო კურსების სილაბუსები.შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

<u>მითითება:</u> ყველა სილაბუსში განსაზღვრულია შუალედური შეფასებების (არაუმეტეს 60%-ისა) და დასკვნითი გამოცდის შეფასების (არაუმეტეს 60%-ისა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თითოეულ საგანში სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან მინიმალური კომპეტენციის გათვალისწინებით. სტუდენტს, რომელსაც დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისიწნებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულას მიიღებს, უფორმდება შეფასება F-0.

- **სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** სამაგისტრო პროგრამით გათვალიწინებული 120 კრედიტი გადანაწილებულია 2 აკადემიური წლის 4 სემესტრზე, აქედან: 80 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 10 კრედიტი პრაქტიკას, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და საჯარო დაცვას. პროგრამა შედგება ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან. ინტერნაციონლიზაციის გაღრმავების მიზნით სასწავლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევით სასწავლო კურსებს: დარგობრივ უცხო ენას (ინგლისური,), და გლობალურ ეკონომიკას (ინგლისურ ენა).

- **სამეცნიერო კვლევის ელემენტები:** პროგრამაში კვლევით კომპონენტს დათმობილი 30 კრედიტი(სამაგისტრო ნაშრომი). აღნიშნული კომპონენტის მიზანია მაგისტრანტმა ეკონომიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით და შეძენილი დარგობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით: სისტემური სახით წარმოადგინოს პროგრამაზე სწავლის მანძილზე მიღებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები; შეიძინოს სამაგისტრო დონის შესაბამისი კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, შეძლოს პრობლემის დასმა, მისი განხორციელების გზებისა და სტრატეგიების შერჩევა და დასახული პრობლემის კომპლექსურად, ზუსტად, ეფექტურად და პროფესიულ დონეზე გადაჭრა;

  მოახდინოს მიღებული შედეგების მაღალ აკადემიურ დონეზე, აკადემიური სტანდარტებისა და პატიოსნების პრინციპების გათლისწინებით, წერილობით მომზადება და პროფესიონალების წინაშე ზეპირად გადმოცემა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

დანართი #1

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	პროგრამის კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	სავარაუდო სემესტრი	ECTS კრედიტები	საათი		სულ
						საკონტაქტო	დამოუკიდებელი	
	სასწავლო კომპონენტი							
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი -70 კრედიტი							
1.	SBLS2ERM	კვლევის მეთოდები	-	1	10	46	204	250
2.	U.2.AW	აკადემიური წერა	-	1	5	32	93	125
3.	SBLS2EMI	მიკროეკონომიკა	-	1	10	46	204	250
4.	SBLS2EMA	მაკროეკონომიკა	მიკროეკონომიკა	2	10	46	204	250
5.	SBLSEEME	მენეჯერული ეკონომიკა	-	2	5	32	93	125
6.	SBLS2EPF	საჯარო ფინანსები	-	2	10	46	204	250

7.	SBLS2EM	მაკროეკონომიკური პროგნოზირება	მაკროეკონომიკა	3	5	32	93	125
8.	SBLS2EWE	მსოფლიო ეკონომიკა	-	3	5	32	93	125
9.	SBLS2EP	პრაქტიკა	მაკროეკონომიკა; კვლევის მეთოდები	3	10	60	190	250
	სამეცნიერო კომპონენტი - 30 კრედიტი							
10.	SBLS2EMW	სამაგისტრო ნაშრომი[1]		4	30	32	718	750
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 20 კრედიტი							
1.	SBLS2EMPO	მონეტარული პოლიტიკა	მაკროეკონომიკა		5	32	93	125
2.	SBLS2EES	ეკონომიკური უსაფრთხოება	-		5	32	93	125
3.	SBLS2EMAC	მმართველობითი აღრიცხვა	-		5	45	80	125
4.	SBLS2ENAS	ეროვნული ანგარიშთა	-		5	32	93	125

[1] სტუდენტი დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე თუ მას შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სხვა მოთხოვნა, არ აქვს ფინანსური და აკადემიური დავალიანება და აქვს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შუამდგომლობა რათა ნაშრომი დაშვებული იქნას დაცვაზე.

		სისტემა						
5.	SBLS2EIE	ინოვაციური ეკონომიკა	-		5	32	93	125
6.	SBLS2EIFEO	საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები	-		5	32	93	125
7.	SLBS2ECCS	კონკურენცია და კონკურენტული სტრატეგიები	-		5	32	93	125
8.	SBLS2EGE	გლობალური ეკონომიკა	-		5	32	93	125
9.	SBLS2EMAoPhoS	**მეცნიერების ფილოსოფიის ძირითადი ასპექტები**	-		5	45	80	125
10.	SBLS2ESIFL1E	დარგობრივი ინგლისური ენა1	ინგლისური ენა -B2 დონე		5	45	80	125
11.	SBLS2ESIFL2E	დარგობრივი (ინტენსიური) ინგლისური ენა2	დარგობრივი (ინტენსიური) ინგლისური ენა1		5	45	80	125

დანართი 2

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქა:

სავალდებულო კომპონენტის/ საგნების დასახელება	**შედეგი 1**	**შედეგი 2**	**შედეგი 3**	**შედეგი 4**	**შედეგი 5**	**შედეგი 6**	**შედეგი 7**	**შედეგი 8**	**შედეგი 9**
კვლევის მეთოდები	✓			✓	✓	✓		✓	
აკადემიური წერა	✓		✓	✓	✓			✓	
მიკროეკონომიკა	✓	✓			✓	✓			
მაკროეკონომიკა	✓	✓			✓		✓		
მენეჯერული ეკონომიკა	✓	✓			✓				
საჯარო ფინანსები		✓					✓		

მაკროეკონომიკური პროგნოზირება					✓	✓			
მსოფლიო ეკონომიკა	✓		✓						
პრაქტიკა	✓	✓		✓	✓		✓	✓	✓
სამაგისტრო ნაშრომი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

მითითება: 1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის სწავლის შედეგი	პროგრამის სწავლის შედეგი

	1	2	3	4	5	6	7	8	9
1				✓	✓	✓			
2	✓	✓	✓	✓				✓	
3	✓	✓					✓	✓	✓

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, იქნებიან კონკურენტუნარიანნი დასაქმების ბაზარზე, ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარები და შეძლებენ:

4. კვლევის მეთოდების გამოყენებით განახორციელონ ეკონომიკურ პროცესების კრიტიკულ ანალიზი
5. განსაზღვრონ გლობალურ გარემოში მიმდინარე პროცესების ზეგავლენა ეკონომიკურ სუბიექტებზე და ჩამოაყალიბონ დასაბუთებული დასკვნა;
6. პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით განახორციელონ კვლევა, დასახონ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ახალი, ორიგინალური გზები და ჩამოაყალიბონ არგუმნეტირებული დასკვნა

დანართი 5

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.
შედეგები/კომპეტენციების მიხედვით

შედეგები	**სამიზნე ნიშნული**
1. ახდენს მიკრო, მაკრო და მსოფლიო ეკონომიკების დონეზე არსებული პრობლემების სტრუქტუირებას, მათ სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას	პრობლემის ხედვა. მისი კრიტიკული გააზრება, მისი სრუქტუირება,საკითხისმკაფიოდ დასმა
2. აღწერს საჯარო ფინანსების ფუნქციებს, განიხილავს სახელმწიფო მონეტარულ და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს;	საჯარო ფინანსების ფუნქციების სიღრმისეული აღწერა; სახელმწიფოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების კლასიფიცირება და მათი დანიშნულების ჩამოყალიბება
3. ახდენს გლობალიზაციის თეორიების და ეკონომიკურ ციკლების სიღრმისეულ ინტერპრეტირებას, მათთან დაკავშირებული პრობლემების სტრუქტურირებას	გლობალიზაციის ციკლების აღწერადა ინტერპრეტაცია, მათზე მოქმედი ფაქტორების რანჟირება, ციკლური პრობლემების აღწერა

4. ახდენს საკვლევი მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზს. განსაზღვრავს ცვლილებების პირობებში ბაზრის სუბიექტების ქცევას, გაიანგარიშებს და აფასებს მის პარამეტრებს, აკეთებს შესაბამის დასკვნებს.	საკვლევის მოვლენის აღწერა და პრობლემის დასმა, მისი მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი; გლობალური ცვლილებების პირობებში ბაზრის სუბიექტების ქცევის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშება, ქცევითი მოდელისათვის მათი შეფასება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება
5. ახდენს მიკრო-მაკრო ეკონომიკური მოვლენებისა და ტენდენციების სიღრმისეულ ანალიზს, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის საშუალებით განზოგადებული დასკვნების დემონსტრირებას.	მიკრო და მაკრო დონეზე ეკონომიკური მოვლენების ანალიზი, მიმდინარე ტენდენციების შეფასება, შედეგების შეჯერება და სინთეზი, განზოგადებული დასკვნების დემონსტრირება
6. ახორციელებს გლობალურ და ლოკალურ დონეზე ეკონომიკური მოვლენების პროგნოზირებას , მათ შეფასებას და შედეგების დემოსტრირებას აკადემიურ და პროფესიულ წრეებში;	ეკონომიკური მოვლენების პროგნოზების გაკეთება, საპროგნოზო მოდელების შეფასება და პროფესიულ წრეებში დემონსტრირება
7. ახდენს საჯარო ფინანსების რესურსების გამოყენებასა და შემოსავლების განაწილების შეფასებას.	საჯარო ფინანსების განაწილებისა და გამოყენების შეფასებაე

8. პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, აყალიბებს ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ საკუთარ ხედვას და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნას	ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები,არსებული თანამედროვე წყაროებისა და კვლევები სსაფუძველზე ეკონომიკური პრობლემების ირგვლივ საკუთარი ხედვის ფორმულირება და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებ, შესაბამისი წყაროებისა და ციტირებების მითითებით,
9. იღებს პასუხისმგებლობას, ეკონომიკის სფეროში, საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიულ განვითარებაზე.	ეკონოლმიკურ პრობლემებზე კვლევითი პროექტებისა და ეკონომიკის მიკრო და მაკრო დონეზე განვიტარების საპროგნოზო მოდელების შემუშავებისას საკუთარი ცოდნისა და გუნდის წევრების პროფესიულ განვიტარებაზე პასუხისმგებლობა

სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება სასწავლო კურსებში და სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემა და მათი შედარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიერ შემუშავებულ სტუდენტთა რანჟირების სკალის მონაცემებთან, მაგალითად, შედეგები ითვლება, რომ ნორმალურია თუ:

1. სტუდენტების რაოდენობა შეფასებით A არ აღემატება საერთო რაოდენობის 10%-ს;

2. მომდევნო შეფასებები ნაწილდება შემდეგნაირად: B-25%; C-30%; D-25%;

3. სტუდენტების რაოდენობა შეფასებით E არ აღემატება საერთო რაოდენობის 10%-ს; ანუ სტუდენტების უმრავლესობას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ხოლო ძალიან მაღალი და დაბალი ქულები კი – სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10-10%-ს. შედარების შემდეგ დგინდება გადახრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზეზები და შემუშავდება რეკომენდაციები.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

	სახელი, გვარი	აკადემიური ხარისხი	სტატუსი	სასწავლო კომპონენტი
1.	ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი	პროფესორი	**კვლევის მეთოდები** **ინოვაციური ეკონომიკა** **მმართველობითი აღრიცხვა**
2.	ნანა რინკიაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	აფილიებული. პროფესორი	**მიკროეკონომიკა** **მაკროეკონომიკა** **მონეტარული პოლიტიკა**
3.	ია ჯიმშიტაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	აფილიებული. პროფესორი	**გლობალური ეკონომიკა**
4.	მაია ალადაშვილი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	**საჯარო ფინანსები** **ეკონომიკური უსაფრთხოება**

5.	ნანული ხიზანიშვილი	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	**ეროვნული ანგარიშთა სისტემა**
6.	ნინო კახაშვილი	ფილოლოგიურ მეცნიერებათა	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	აკადემიური წერა
7.	მაია გონაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული პროფესორი	**მენეჯერული ეკონომიკა** **მაკროეკონომიკური პროგნოზირება**
8.	რუსუდან დალაქიშვილი - ჭიჭინაძე	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული პროფესორი	საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები კონკურენცია და კონკურენტული სტრატეგიები
9.	გიორგი კიპაროიძე	ეკონომიკის დოქტორი	მოწვეული პროფესორი	მსოფლიო ეკონომიკა
10.	ირმა შიოშვილი	ფილოსოფიის დოქტორი	აფილიებული. პროფესორი	**მეცნიერების ფილოსოფიის ძირითადი ასპექტები**
11.	ქეთევან შაშვიაშვილი	განათლების დოქტორი	მოწვეული დოქტ.	დარგობრივი ინგლისური ენა1

				დარგობრივი ინგლისური ენა2